

თეატრი



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ქ ე ლ ო ორგან კომიტეტა по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 6 (1176) | სამუშაოთი, 14 იანვარი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კპ.

ჩეხოსლოვაკიაში

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის წევრთა კონფერენციის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს მოეწყობა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ ევროპის ქვეყნების ჩემპიონები. ეს საინტერესო ღონისძიება ჩატარდება მხოლოდ დამზადებული გუნდებისათვის. თვითუფლები კოლექტივი მოწინააღმდეგე შეხვედრებზე არაა. თუ გუნდს ორი თამაშიდან მეტი ერთი წაგება და ერთი მოგება, მაშინ გამარჯვებულს გამოავლენს ბურთების შეფარდება. თუ ამ შემთხვევაში გუნდები თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, მათ შორის გაიმართება მესამე შეხვედრა, რომელიც ჩატარდება იმ მოედანზე, რომელზეც მეორე მატჩი მოეწყო.

ევროპის თასზე მონაწილეობას მიიღებს 23 გუნდი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად. ჩემპიონის ჩემპიონი — რიგის ოფიცერთა სახლს გუნდი გამოდის „ა“ ქვეჯგუფში, სადაც იგი შეხვედრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს — გუმბოლტ-უნივერსიტეტის გუნდს. ამ ქვეჯგუფში ერთმანეთს შეხვედრიან აგრეთვე ვარშავის „ლეგია“ და პელსინკის „პანტერიტი“. გამარჯვებულები შექმნიან ერთ-ერთ მეოთხედფინალურ ჯგუფს.

წინასწარი მატჩები გაიმართება 1958 წლის 1 მარტიდან 15 აპრილამდე, მეოთხედფინალები — 15 აპრილიდან 15 მაისამდე, ნახევარფინალები — 15 მაისიდან 15 ივნისამდე, ფინალი — 15 ივნისიდან 15 ივლისამდე.

ამას გარდა მიმდინარე წელს გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირები, მსოფლიო პირველობა ვაჟთა გუნდებისათვის მოეწყობა 1958 წლის

28 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე სანტ-იაგოში (ჩილი). ევროპის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის — 8-დან 18 მაისამდე ლიმაში (პოლონეთი).

საბჭოთა კალათბურთელები 1958 წელს ჩატარებენ მთელ რიგ საერთაშორისო შეხვედრებს სხვადასხვა ქვეყნების გუნდებთან. 23 თებერვალს ვაჟთა გუნდი თამაშებს იტალიასთან, ქალთა გუნდი 10 აპრილს შეხვედრება ჩეხოსლოვაკიას, ხოლო 15 აპრილს — ბულგარეთს. 28 მაისს ჩემპიონის ქვეყნის ვაჟთა კოლექტივი შეხვედრება ჩეხოსლოვაკიას, სექტემბერში — რუმინეთს.

შეჯიბრება — ყუჩაღების ხანძარი

დაიწყო 1958 წლის სპორტული სეზონი... დაიწყო მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიებით აღსავსე წელიწადი. საერთაშორისო შეჯიბრებები ფეხბურთში, მძლეობაში, კალათბურთში; საკავშირო შეჯიბრებები მძლეობაში, თავისუფალ კიდაობაში, მოტოსპორტში, ჯადრაკში; მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკადა. აი, იმ დიდ ღონისძიებათა არსებული სია, რომლებიც თბილისში უნდა ჩატარდეს. ამას დაუმატებ რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული შეჯიბრებები და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები მართლაც სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან.

დახამალი არაფერია. გასულ წელს მთელი ჩვენი მუშაობის ამ ძირითად უბანს — შეჯიბრებების მომზადება-ჩატარებას თან ახლდა ბევრი ნაკლი. ცუდი ორგანიზაციის მიზეზით ჩაიშალა ან შეტანილი დაბალი დონეზე ჩატარდა ბევრი შიდასაკლექტივო, რაიონული და, ასე ვახსენებთ, საქალაქო შეჯიბრებაც კი. ხოლო ზოგიერთი რესპუბლიკური შეჯიბრება მოვალეობის მოხდის მიზნით ჩატარდა (მაგალითად საქართველოს პირველობა ლელობურთში). რასაკვირველია, შეჯიბრებების ჩაშლასა და დაბალ დონეზე ჩატარებაში მართლაც ორგანიზატორები როლი არიან დამაშავენი. ამ საქმეში სათანადო

მოსწავლეთა პირველი სტარტი

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში მრავალმა ნორჩმა მოთხილამურემ მოიყარა თავი ბაკურიანში. იაგორასა და მუხერის ველზე ეწყობოდა თანატოლთა შეჯიბრებები. ბავშვთა ორგანიზებული დასვენების მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა ჩატარა დედაქალაქის მოსწავლეთა პირველობა, რომლის პროგრამაში იყო რბენები და სლალომი.

პირველ დღეს სტარტზე გამოვიდნენ 5 კილომეტრზე მორბენალი ქაბუკები და გოგონები. ვაჟთა შო-

რის უძლიერესი აღმოჩნდა 53-ე სკოლის მოსწავლე ბ. კალანდაძე, რომელმაც აღნიშნული მანძილი 30 წუთსა და 28 წამში დაფარა. მისი თანაგუნდელი დ. მაჭავარიანი ფინიშთან მეორე იყო შედეგით — 32,02,2, მესამე ადგილი წილად ხვდა 47-ე სკოლის მოსწავლეს გ. ელისაბედაშვილს.

გოგონათა შორის თავი ისახელა ც. გიორგაძემ, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა ც. მხეიძე (53-ე სკოლა). მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება 150-მეტრიან სლალომის ტრასაზე. ქაბუკთა შორის ორი ცდის ჯგუფში თბილისის ჩემპიონი გახდა 101-ე სკოლის წარმომადგენელი ი. ბერძენიშვილი — 1.07,2, გ. ამინაშვილი (48-ე სკოლა) და ჩ. გვარლიანი (მე-20 სკოლა) გამოვიდნენ მომდევნო საპირბო ადგილებზე. გოგონათა შორის გამარჯვდა ც. მხეიძე — 1.50,0. საერთო მოწონება დაიმსახურა 53-ე სკოლა მოსწავლის 10 წლის ი. მხე-

იძის გამოსვლამ, რომელმაც 26 ქაბუკიდან სლალომში მე-13 ადგილი მოიპოვა.

მესამე დღეს ჩატარდა ქაბუკთა შეჯიბრება 10 კილომეტრზე რბენაში. აქ ყველას აჯობა მ. თბილაძემ (62-ე სკოლა) — 1:19.30. მეორე ადგილი მოიპოვა პირველ სკოლებმა გ. იზაშვილმა, მესამე — ლ. გიორგაძემ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამოვრეულ სპორტსმენებს გადაეცათ ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის საგებები. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება ორგანიზებულია ჩატარდა, რაშიც სათანადო წვლილი მიუძღვის კომიტეტის წარმომადგენელს ა. სოსიაშვილსა და მთავარ მსაჯეს სპორტის ოსტატ ლ. ფანჯაქიძეს.

ა. მხეიძე

ს უ რ ა თ ე: 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული მ. თბილაძე დისტანციანზე. ფოტო ა. ასათიანისა

ბრალი მიუძღვით ცალკეულ სპორტსმენებს, მსაჯებსა და მწვრთნელებსაც კი.

შეჯიბრება არის მთელი ჩვენი მუშაობის შემაჯამებელი ღონისძიება. შეჯიბრება ის მოვლენაა, რომელსაც სპორტსმენებმა, გულსისფრეკლოთ მოვლამ, რათა წარსდგნენ ყველაზე მაკარი მსაჯების — მაყურებლის წინაშე და გამოავლინონ თავიანთი ოსტატობა. მაგრამ შეჯიბრებაც არის და შეჯიბრებაც, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი შეჯიბრება, რომელიც კარგად არის მომზადებული, მსაჯთა აპარატი საათის შექანიზაციით მუშაობს და ყოველივე ამის შედეგად მაღალ შედეგებსაც ვიდებთ.

შეჯიბრება ეს სკოლაა, სადაც იწრება სპორტსმენის ხასიათი, იგი აქ იძენს სატურნირო ჩვევებს, ამოწმებს თავის შესაძლებლობას. მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე ამ საკითხზე ყურადღებას იმტომ ვამხვილებთ, რომ ამ სეზონში პირველად დაიწყება სრულწლოვანი შეჯიბრებები პირველ კოლექტივებში ტურნირების წარმატება დამოკიდებულია შეჯიბრებების ხარისხზე. თუ შეჯიბრება კარგად მომზადდება, დაინტერესებს მონაწილე გუნდებს და რასაკვირველია; ნაყოფსაც მოგვეცემს, ხოლო თუ იგი ისე ჩატარდა, როგორც ველორობოლა ვაჟთა „მოლოდო სტალინის“ ჯილოზე, რასაკვირველია იგი არავის არ დაინტერესებს და სპორტსმენებიც მასში მონაწილეობაზე უარს იტყვიან.

შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარებისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილის მომზადებას. სპორტული ბაზა, სადაც ღონისძიებას ვატარებთ, რა სიდიდისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა მოვრთოთ პლაკატებით, ტრანსპარანტებით. თვალსაჩინო ადგილს უნდა ამუშვენდეს გამოვნიებით შესრულებული აფიშა. აქვე უნდა დაეცინოს, რომ აფიშა უნდა იყოს ზუსტი და კონკრეტული. გამოვიყენოთ ადგილობრივი რადიოქსელი. იგი ჩვენ დაგვხმარება მაყურებლის ინფორმაციისთვის და საერთოდ შეჯიბრებებს წარმართავს. ასეთ ბაზას, რასაკვირველია, მაყურებელი სამოვნიებით ეწვევა, შეჯიბრების ყურებითაც დატყდება და დაისვენებს კიდევ.

ეს რაც შეეხება შეჯიბრების გარეგან მხარეს. მოქმედ პირებს — სპორტსმენებს კი სულ სხვა პარობები სჭირდებათ, პირველ რიგში სასპორტო მომზადება, მსაჯთა კოლეგის ზუსტი და ობიექტური მუშაობა, საქმიან პუნქტი, თბილი შხაპი. შეიძლება ვინმემ გვიტოხოს ძირეულ კოლექტივს ან თუნდაც ზოგიერთ რაიონს სად გააჩნია ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი. შეცდომაა. ყველგან მოიძებნება თუ მოეძებნით. ამისათვის დაგვიკვირდება თვითმოქმედების გაშლა, აქტივის დარაზმვა. მისი დაზარებით ყველა სპორტსმენი საქმის გაკეთება შეიძლება ყოველგვარი დაფინანსების გარეშე საწარმოების, სკოლების, კომლექსებისათვის მხატვრული თვითმოქმედების წრეება ხომ

ყოველგვარი სახსრების გარეშე სდგამენ სპექტაკლებს, აწყობენ კონცერტებს. მათ ჩვენ რა გვიშლის ხელს?

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ შეჯიბრება ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. მისი დაბალ დონეზე, უინტერესოდ ჩატარების უფლება ჩვენ არა გვაქვს და ვინც ამას მოიშობებდა, სათანადო სახვედრებს მიიღებს.

ჩიბა, XXV საქალაქო ჩემპიონატი

12 იანვარს, რიგაში, მექანიკებთან სასახლის დიდ დარბაზში სახეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის XXV საქალაქო ჩემპიონატის ფინალი. შეჯიბრების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლაციშა.

მსაჯთა კოლეგიაში სახეიმოდ კრების მაგიდასთან მიიწვია ტურნირის მონაწილენი კენკის საყრდელ მონაწილენი ამ ცერემონიის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ოსტატი ბ. გურგენიძე, (თბილისი), 2. გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), 3. ოსტატი ა. ბანიკი (კიევი), 4. გროსმაისტერი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 5. გროსმაისტერი ა. კოტოვი (მოსკოვი), 6. გროსმაისტერი მ. ტალი (რიგა), 7. გროსმაისტერი მ. ტაიმაზოვი (ლენინგრადი), 8. ოსტატი ლ. პოლუგაევსკი (კუბიშევი), 9. გროსმაისტერი ე. გელერი (ოდესა), 10. ოსტატი გ. ბორიანკო (სვერდლოვსკი), 11. საერთაშორისო ოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), 12. ოსტატი ვ. კროვიუსი (ნოვოსიბირსკი), 13. ოსტატი ა. ვიკსლისი (რიგა), 14. გროსმაისტერი ბ. სპასკი (ლენინგრადი), 15. გროსმაისტერი ა. ტოლუში (ლენინგრადი), 16. გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), 17. გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი (მინსკი), 18. გროსმაისტერი ი. ავერბახი (მოსკოვი), 19. ოსტატი ა. სუტეინი (კიევი).



ქ. გორკის დამთავრდა საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი სათხილამურო ტრამპლინის მშენებლობა, რომლის სპაროქტო ბტომის სიმძლავრე უდრის 80 მეტრს. ს უ რ ა თ ე: ახალი ტრამპლინის ხედი.

ფოტო პ. ვოზნესენსკისა



ჯერ კიდევ 1933 წლიდან მოყო-
ლებული ვიდრე დღემდე, როცა
საბჭოთა საზოგადოებრიობა, პრე-
სა, რადიო, ალბინიზმის მოყვარუ-
ლთა დიდი „არბია“ ფართოდ
ემბარგოდა მამაცი ქართველი მთა-
სველებს ბრწყინვალე გამარ-
ჯებებს, ხოლო გზებების სათა-
ურებში მთათა სახელოვანი რაინ-
დების სახელები ელავდნენ, საზო-
გადოებრიობის შედარებით მხო-
ლოდ მცირე ნაწილისათვის იყო
ცნობილი მორიდებულ, თავისი სა-
ქმის ერთგულ და ერთუხიასტ აღ-
მართა ვინაობა, რომელთა სურათე-
ბი და გვარები, ჩვეულებრივ, და
ისიც — არც თუ ყოველთვის აღ-
პინიანური ლაშქრობის მონაწილე-
თა ბოლოს იხსენიებოდა როგორც
„ექსპედიციის თანხლები“.



და მხოლოდ ალბინიზმის რამდენ-
იმე გულშემატკივარსა და მოყვა-
რულს თუ მოვსვლია ახრად, რომ
ეს აღამიანებიც ავსებით იმსახუ-
რებენ მთების მამულთა, სიმაღ-
ლებთან ბრძოლების გმირთა შა-
რავანდებს, რომელთაც ჩვენი სა-
მაყო მთამსვლელები არიან მოსილინი.
ეს აზრი თავისებურად გამიხატა
კინოსტუდიის ერთ-ერთმა თანამშ-
რომელმა, როცა სამუშაო მაგიდას-
თან გატაცებით მოფუსფუსე ბ.
კრეპსს მიმართა:

— ბოროს, ბოლოსდაბოლოა შენ
როდისღა მიიღებ სპორტის ოსტა-
ტობას?
ხოლო იმის დასადასტურებლად,
თუ რა ახლანაა სინამდვილესთან
ამ ხუმრობით ნათქვამში ჩაქოვი-
ლი აზრი, გავყვეთ ბ. კრეპსს, რომ-
ელმაც ეს-ესაა დაამთავრა ლაბო-
რატორიაში საქმიანობა, თავი მოუ-
ყარა მაგიდაზე გაშლილ-დახვევ-
ბულ ნამუშევარს და პატარა, ჩაბ-
ნელებულ დარბაზს მიამუხრა.

ამას წინათ დამთავრდა დოსაადის
რესპუბლიკური მეორე კონფერენცია.
საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა
რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდ-
ომარე ამ. ა. სილაგაძე, რომელმაც
აღნიშნა ამ მასობრივი ორგანიზა-
ციის როლი ჩვენი სამშობლოს თავ-
დაცვის განმტკიცების საქმეში. დო-
საადის რიგებში იწვრთნე-
ბიან პლანერისტები და
პარამუტისტები, ახალგაზ-
რდობა ეფუძლება ავტომო-
ტოსპორტს. საგრძნობი მუშაობა აქვს
ჩატარებულ დოსაადის ორგანიზა-
ციებს მესამე კლასის ავტომობილე-
რებისა და მოტორისტების, მოტოციკ-
ლისტებისა და რადიომოყვარულთა
მასიურად მომზადებაში. შესამჩნევი
წარმატებებია მოპოვებული საწყ-
ლოსნო სპორტში. საქართველოს ნიჩ-
ბოსანთა ნაკრებმა გუნდმა საქავში-
რო შეჯიბრებებში მეოთხე ადგილი
დაიკავა.

საბჭოთა კავშირის გასული წლის
დაუსწრებელ შეჯიბრებებზე თბილ-
ისის მსროლელთა კლუბი 140 კლუბს
შორის მეორე ადგილზე გამოვიდა.
სასარგებლო სამახურს უწევს მო-
სახლეობას დოსაადის მასველი
საგუშაგოები, რომლებმაც გასული
ორი წლის განმავლობაში 70 კაცი
გადაარჩინა დარჩნობას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გა-
სული წლის მუშაობის შედეგებით



ეს სურათები ახალი დო-
კუმენტური ფილმის —
„შივილი მწვერვალის შტუ-
რის“ კადრებს წარმოად-
გენენ. ქვემო სურათზე
თქვენ ხედავთ კინოოპერა-
ტორ ბ. კრეპსს, რომელიც
თანმიმდევრულად იღებდა
როგორც სიმაღლეებთან
ბრძოლის (შუა სურათი),
ისე მწვერვალთა დაპურო-
ბის (ზემოთ) პერიპეტებს.

ყავთ ისინი, შემდგომ —
წრიალებითა და წერაყინე-
ბით შეიარაღებულნი, რო-
ცა თოვლიან ფერდობთა
მტურში იწყებდა...

ძმიმედ, მაგრამ შეუბოგრად მიი-
წვევს სულ წინ და მალე ქართვე-
ლი მთამსვლელები, ებრძვიან შეე-
ულ და მოყინულ კედლებს, ლახ-
ვენ პირდაღებულ ნაბრალებსა და
უფსკრულებს, მათ შუა „გადე-
ბულ“ ვიწრო გადასასვლებს...
აი, პირველი დიდი გამარჯვების
სიხარულიც — ისინი დასახული
ტრ ავერსის პირველ უმაღლეს მწვე-
რვალზე არიან — 6200 მეტრის სი-
მაღლეზე — რომელსაც სულ მალე
რედაქციის სახელი მიენიჭებდა...

დარვაზის ქედთან ქართველ ალ-
პინისტთა ბრძოლის ეს ეპიზოდები
კინოოპერატორ ბ. კრეპსის შემოქ-
მედობით და საბჭოთა სპორ-
ტის შედეგია. 1933 წლიდან ის,
თავის კოლეგებთან ერთად, უცვ-
ლელად მონაწილეობს სხვადასხვა
ალპინისტურ ლაშქრობებში, ჩვენ

მიმდინარე საბჭოთა სეზონი
აღიშნება მრავალი შეჯიბრებით
სასტენო სროლაში. მარტში ლეო-
ში ჩატარდება საბჭოთა კავშირის
უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრება,
აბრლში ლენინგრადში შეიკრიბე-
ბიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა
მსროლელები; საბჭოთა კავშირის
ახალგაზრდული ნაკრები გუნდის

გამოჩენილ მთამსვლელთა მხარდა-
მხარ წევს მთათა სტიქიას-
თან მკაცრი ბრძოლების ჭაპანს
და ყოველი ასეთი ბრძოლის გადახ-
დის შემდეგ გვიტოვებს ხოლმე
ჩვენ, ფართო საზოგადოებრიობას,
მისი წარმატები პერიპეტების ასა-
ხველ ფილმებს, რომლებიც ქართ-
ველ ალპინისტთა ბრწყინვალე გა-
მარჯვებების თავისებურ, ცოცხალ
და მეტყველ, მატანედ შეიკვრენ.
ხოლო ამ პროფესიონალური მონ-
ღომების, ერთუხიანობა და საქმის
სიყვარულის შედეგად, მრავალი
წლის განმავლობაში მთამსვლელებ-
თან დაუღალავი თანამშრომლობის
დაგვირგვინებად, სხვა „პროფესი-
ული დაავადებითაც“ განმსჭვალა
ბ. კრეპსი: ის ნამდვილ, სრულყო-
ფილ ალპინისტად ჩამოყალიბდა.

გარდა ზემოაღწერილი დარვაზის
ქედზე ლაშქრობისა, რომელიც კი-
ნოკადრებშია საშუალებით ამცნობს
მყურებლებს ქართველ მთამსვლე-
ლთა უმაღლესი გამარჯვებას და,
რომელიც მოკლე ხანში „შივილი
მწვერვალის შტურმის“ სახელწო-
ვით მოგვევლინება ეკრანებზე,
ბ. კრეპსს მრავალჯერ მიუღია მო-
ნაწილეობა ყაზბეგის ლაშქრობაში,
უშბია იერიშიში, მხელდა-უშბის
ცნობილ ტრ ავერსში, ყაზბეგის
„სტუდენტთა ალპინისტთაში“, მარ-
ქსისა და ენგელსის, სტალინისა და
მოაკოვის პიკების აღებაში. მისი
პირადი „სიმაღლეები“ რეკორდი
6100 მეტრსაც კი აღემატება... და
ყოველი ლაშქრობის შედეგად იქმ-
ნებოდა მაღალი ოპერატიული ხე-
ლოვნებით და ალპინისტური სპო-
რტის შესანიშნავი ცოდნით აღბე-
ჭული დოკუმენტური ფილმები
„უშბა“, „მხელდა-უშბის ტრ ავერ-
სი“, „პამირის უმაღლესი მწვერვა-
ლი“, „მოსკოვის პიკი“ და სხვა. მათ
თავის მეგობარ-კოლეგებთან — თ.
დევანოიძესთან ი. ამსიისკისთან, თ.
მერკვილაძესთან და სხვებთან ერ-
თად ქმნიდა ბ. კრეპსი და ეს ფილ-
მები ყოველთვის ფართო პოპულა-
რობითა და საყოველთაო მოწონე-
ბით სარგებლობდნენ. საქმარისა
აღიშნოს, რომ „უშბა“ და „მოსკო-
ვის პიკი“ იტალიაში ჩატარებულ ე-
წ. ალპური ფილმების კინოფესტი-
ვალში მონაწილეობდნენ, ხოლო პი-
რველ მათგანს მეორე ხარისხის სა-
ერთაშორისო დიპლომიც ზედა წი-
ლად.

ალპინისტთა განუყვარი მეგობა-
რი, სპორტის ყველა სახეობითა
გულშემატკივარი, ახალი შემოქმე-
დებითა და საბჭოთა გემებით
აღსავსე ბ. კრეპსი კვლავაც ერთ-
გულად უღვდა ნაცად მეგობრებს
მხარში ახალ-ახალი, მომავალი გა-
მარჯვებების მოსაპოვებლად!

უ. ჯუღელი

დოსაადის რესპუბლიკური კონფერენცია

რესპუბლიკებს შორის საქართველოს
ორგანიზაციამ უკეთეს მაჩვენებლებს
მიღწია და დიშანაურა დოსაადის
ცენტრალური საბჭოს საბატიო ჯილ-
დო — გარდამავალი წითელი დრო-
შა.

საანგარიშო მოხსენება, რომელიც
ოთხწლიან პერიოდს მოიცავდა, ნაკ-
ლებად თვითკრიტიკული იყო. მასში
საქმიან არ იყო გაშუქებული რეს-
პუბლიკური კომიტეტის მუშაობაში
არაბეული ნაკლოვანებანი. ეს ხარვე-
ზი შეავსეს კამათში გამოსულმა ამ-
ხანაგებმა. მათ ძირითადად ილაპა-
რაქეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც
ხელს უშლის დოსაადის ორგანიზა-
ციების მუშაობას.

აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავ-
მჯდომარე ამხ. არლანმა აღნიშნა,
რომ რესპუბლიკური კომიტეტი არა-
სათანადოდ ეხმარებოდა აფხაზეთის
დოსაადის ორგანიზაციებს. ფაქტად

ისიც ემარა, რომ აფხაზეთის დო-
საადის ორგანიზაციამ აკეთებინა ინი-
ციაციით წამოწყებული საცურაო
აუზის მშენებლობაში ვერავითარი
მხარდაქერა ვერ ჰპოვა, რის გამო
აუზის მშენებლობა შეჩერებულია.

დოსაადის თბილისის კომიტეტის
თავმჯდომარე ამხ. აბულაძემ სხვა
საქმობოროტო საკითხებთან ერთად
დააყენა საკითხი მსროლელთათვის
თანრიგის მინიჭების საქმეში არსე-
ბული დანაკარგების ლიკვიდაციის
შესახებ და წინადადება წამოაყენა
ნება დაერთოს დოსაადის რესპუბლი-
კურ კომიტეტს თვითონვე გადაწყ-
ვიტოს მსროლელთათვის მესამე
თანრიგის მინიჭების საკითხი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვი-
და დოსაადის ცენტრალური კო-
მიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ამხ. შატლოვი.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა
წარმოთქვა საქართველოს კომპარ-
ტის ცენტრალური კომიტეტის მდი-
ვანმა ამხ. ვ. ბ. მკვიანაძემ.

კონფერენციის გადაწყვეტილებით
მომავალში მთავარი ყურადღება მი-
ექცევა საბჭოთა ბავშვების მშენებ-
ლობას და სპორტის მასობრივად და-
ნერგვის საქმეს. ძირეულ ორგანიზა-
ციებს დაევალოთ შექმნან გუნდები
და ყოველდღიურად იზრუნონ მო-
ტოციკლისტების, ავტომობილისტე-
ბის, პარაშუტისტების, პლანერისტე-
ბის, მოთხილამურეთა და სპორტის
სხვა სახეობებში მომეცადინეთა
აპორტული ღონის ზრდისათვის.

კონფერენციამ არჩია რესპუბლი-
კური კომიტეტის ახალი შემადგენ-
ლობა და დოსაადის საკავშირო პირ-
ველი ყრილობის დელეგატები.

ბ. ბარნოვი.

დასაკომპლექტებლად, რომელიც
მონაწილეობას მიიღებს მომავალ
მსოფლიო პირველად...
კავშირის, პოლონეთის, რუმინეთისა
და უკრაინის ნაკრები გუნდების მო-
ნაწილეობით, კიევში გაიმართება
საერთაშორისო შეჯიბრება (მასში),
შემდეგ მოსკოვში ჩატარდება ჩვენი
ქვეყნის პირად-გუნდური პირველო-
ბა, რის შემდეგ საბჭოთა კავშირის
ნაკრები გუნდი ბუქარესტში მონა-
წილეობას მიიღებს ევროპის უძლიერ-
ეს მსროლელთა ტურნირში, რაც
იქნება გენერალური რეპეტიცია
მსოფლიოს პირველობისა, რომლის
ჩატარება ნავარაუდევია მოსკოვში
16-29 აგვისტოს.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნ-
დის დაკომპლექტებისა და გადახა-
ლისების მიზნით 17-25 იანვარს სო-
ხუში მოეწყობა ჩვენი ქვეყნის უძ-
ლიერეს მსროლელთა შეჯიბრება,
რომლის მონაწილეები ადგილიდან
სროლაში მიიღებენ 300 სამიზნეს
და მრავალ სტენდზე—200 სამიზნეს,
ჩვენი რესპუბლიკიდან ამ შეჯიბ-
რებებზე გამოვლენ საერთაშორისო
სპორტის ოსტატები ზ. მაჩხანელი,
ბ. ანტონოვი და ახალგაზრდა სპორ-
ტის ოსტატი ი. სავანელიძე, აგრეთ-
ვე ევროპის ჩემპიონები ი. ნიკანდ-
როვი და ნ. დურნევი, საბჭოთა კავ-
შირის ჩემპიონები და რეკორდსმე-
ნები ს. კალინინი, ნ. მგვილიძე,
ი. ისაივი, ნ. ბოლოტნიკოვი, ნ. ჯურ-
დენკო და სხვები. შეჯიბრების მთა-
ვარი მსაჯია აკავშირო კატეგორიის
მსაჯი — ვ. მაქევი (მოსკოვი).

გ. მოსოწალიძე

საქმიანი თათბირი

გაულის წლის ბოლოს ფიზკულ-
ტურისა და სპორტის საკავშირო
კომიტეტის კრივის განყოფილებამ
და ფიზკულტურის ცენტრალური
ინსტიტუტის კრივი კათედრამ მო-
აწყო კონფერენცია, რომელიც მიე-
ძღვნა ჩვენს ქვეყანაში ჭაბუკთა კრი-
ვის მდგომარეობასა და მისი შემდ-
გომი განვითარების ზეზებს.

მოხსენებით „ჭაბუკთა კრივი“
მდგომარეობის შესახებ საბჭოთა
კავშირში“ გამოვიდა დოცენტი ე.
გარდამოლოვი. მოხსენებელმა აღ-
ნიშნა, რომ კრივი ახალგაზრდობის
ფიზიკური აღზრდის ჩინებულ სა-
შუალებას, თუ სწორად იქნა დაყე-
ნებული სასწავლო-აღმზრდებლობით
პროცესი. მან ილაპარაკა იმის შესა-
ხებ, რომ ჭაბუკების (13-დან 18
წლამდე) ფსიქოლოგიური თავთებუ-
რებანი იმდენად არათანაბარია, რომ
აუცილებელ საქმროებას მოითხოვს
მათი დაყოფა ამ ასაკობრივ ჯგუფ-
ებად. პირველი — 13-14 წლის მო-
ზარდები, შემდეგ — 15-16 წლის) და
ბოლოს უფროსი ასაკის ჭაბუკები
(17-18 წლის). მოხსენებელმა აღ-
ნიშნა ისიც, რომ შეჯიბრებები
უფროსი ასაკის ჭაბუკებისათვის უნ-
და ჩატარდეს მხოლოდ ოლიმპური
სისტემით (პირველი წაგების შემდეგ
გამოვარდნით).

კარგი იქნებოდა თუ ასეთი კონ-
ფერენცია ჩატარდებოდა ჩვენს რეს-
პუბლიკაშიც, რომელშიც დღედაღლა
ქია სპეციალისტებს გარდა მონაწი-
ლეობას მიიღებენ ბათუმის, სოხუ-
მის, ფოთის, ქუთაისისა და სხვა ქა-
ლაქების წარმომადგენლები.

ა. გოლახაიანი

მსოფლიო მიღწევა
ქალაქის რეკონსტრუქციის
შესახებ

როსტოვში შტანგისტთა საქალაქო
პირველობაზე წარმატებით გამოვიდა
ქვემსუბუქი წონის ძალოსანი, სპორ-
ტის ოსტატი ვ. კორეი, რომელმაც ორი
ხელით აქიმა 117,5-კილოგრამიანი
შტანგა. ეს შედეგები ნახევარი კილო-
გრამით აღემატება მოსკოვულ მი-
ნავის ოფიციალურ მსოფლიო რე-
კორდს. მაგრამ რეგისტრირებულია
როგორც საქალაქო რეკორდი, რად-
გან შეჯიბრებას აკლდა ერთი საკავ-
შირო კატეგორიის მსაჯი.





დებულებიდან

მსოფლიოს VI ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება შევეციის სხვადასხვა ქალაქში 8 ივნისიდან 29 ივნისამდე. მასში მონაწილეობას მიიღებს 16 კოლექტივი. ჩემპიონატის დაწყებამდე რვა დღით ადრე, ე. ი. 1 ივნისიდან ქვეყნებმა უნდა წარადგინონ იმ 22 ფეხბურთელის სია, რომლებიც ითამაშებენ ჩემპიონატში, რომელიც შერეული სისტემით ჩატარდება. გუნდები თანაბარი სიძლიერის მიხედვით დაიყოფა ოთხ ჯგუფად. ჯგუფებში თამაში ტარდება წრიული სისტემით. ორ-ორი გამარჯვებული გადის მეოთხედფინალში. თუ ორმა

გუნდმა გაიყო მეორე-მესამე ადგილები, მაშინ მათ შორის დამატებითი დაინიშნება თამაში. ამ თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი დრო, თუ გამარჯვებული მაინც არ გამოვლინდა, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელსაც ბურთების უკეთესი შეფარდება აქვს. ამგვარად რვა უძლიერესი გუნდი (თექვსმეტადან) გააგრძელებს შეჯიბრებას ოლიმპიური წესით, ე. ი. დამატებითი გუნდი გადის შეჯიბრებიდან.

ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებული გუნდი ჯილდოვდება ყოველ რამეს (მსოფლიოს I ჩემპიონატის მომწყობის) სახელობის თასით, მოთამაშეები — ოქროს მედლებით. თასებით და მედლებით ჯილდოვდებიან აგრეთვე მეორე და მესამე ადგილზე გამოსული გუნდების მოთამაშეები. თამაშებს შორის უნდა იყოს შესვენება ორი დღე მაინც. ხოლო თუ გუნდს მოუხდა განმეორებით შეხვედრა გამარჯვებულის გამოსავლინებლად მეორე დღესაც, მაშინ მან შემდეგ შეხვედრამდე სამი დღე უნდა დაისვენოს. თამაშებში დაუშვებელია მოთამაშის შეცვლა. ფინალი ჩატარდება სტაკაოლმის „რასუნდას“ სტადიონზე.

ახვობრაუები თაბაშირზე

საბჭოთა კავშირში რამდენიმე საერთაშორისო მატჩის ჩატარების შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი „ბაია“ ჩეხოსლოვაკიის ეწვია. გუნდს ამავე დღე თან ახლდა ჟურნალისტი პ. პეია, რომელმაც ბრაზილიაში შემთხვევით ფეხი მოიტეხა. ექიმები იძულებულნი გახდნენ თაბაშირისათვის მიემართათ და აიძუ-

ლეს ენერგიული ჟურნალისტი უმოძრაოდ ყოფილიყო. მაგრამ ამ მდგომარეობიდან შესანიშნავი გამოსავალი ნახა ავტორგრაფების მოყვარულმა. იგი მხანველებს პირდაპირ თაბაშირზე აკეთებინებდა ავტორგრაფს სტუმართმოყვარე ჩეხოსლოვაკელთა სახსოვარად.



მაღალი ტანის კალათბურთელები დიდ ძალას არ წარმოადგენენ, თუ ისინი ამავე დროს კარგი ატლეტებიც არ არიან — ასეთი აზრია ვაბატონეული დღეს, სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა შორის. როგორც სურათიდან ჩანს, ამ ახალგაზრდას ატლეტობა არ აკლია. მისი სხეულის ყოველი ნაწილი თანაბრად არის განვითარებული. მაგრამ ახალგაზრდა კალათბურთელს აქვს კიდევ ერთი ღირსება, რითაც იგი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელთა ათეულის ერთ-ერთ პრეტენდენტად. მისი სიმაღლე 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრს აღემატება.

მისი გვარია ლეფევი. იგი წარმოშობით ფრანგია და ორი წლის წინ საფრანგეთის ნაკრებში გამოდიოდა (სათადარიგო შემადგენლობაში). დღეს ლეფევი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. აქ გააგზავნეს იგი ფრანგებმა სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად რამდენიმე წლით. ლეფევი სწავლობს გონსაგის უნივერსიტეტში და თამაშობს ამავე სასწავლებლის გუნდში.

ჯერ კიდევ მთელ მსოფლიოს აზანარებდა მეტურნის XVI ოლიმპიური თამაშების ეხო, როცა იტალიის დედაქალაქ რომის ერთ-ერთ ისტორიულ ქუჩას, კოლინეუსს, რომელიც აგებულია იმპერატორ ვესპასიანის დროს, უჩვეულო სტუმრები ეწვივნენ. ისინი არ გაგდნენ უცხო ქვეყნიებიდან ჩამოსულ ტურისტებს, მაგრამ არც თავშესაფარის მაძიებელი რომელიც უსახლკაროები იყვნენ, რომლებიც არაერთხელ წვევიან ამ ადგილებს ღამის გასათევად.

სხვადასხვა ხელსაწყოებით შეიარაღებული სტუმრები შეესივნენ ნაზარევეებს. დაიწყეს კედელთა სისქის, სიმაღლის, ფუნდამენტის სიღრმის გაზომვა, გადაციციებით იწვინდნენ და ინიშნავდნენ ყოველივე წვრილმანს, სწავლობდნენ შეკლებდა თუ არა კულტურის უძველესი კერა კვლავ ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში, სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ.

გამოკვლევებმა სასურველი შედეგი გამოიღო. დაიწყო კოლინეუსის რეკონსტრუქცია, რომელიც მზად უნდა იყოს რომის XVII ოლიმპიური თამაშების განხორციელების შემთხვევაში. იგი დაიკრება 15 ათას მაყურებელს და ისე, როგორც უძველეს დროში, განათებულ იქნება ჩირაღდებით.

ოლიმპიური თამაშების იტალიელ ორგანიზატორებს მეტურნელებივით ახლა როდი უხდებათ ყველა სპორტ ბაზის აგება. რომის თამაშებიდან სამშობლოში დაბრუნებულ ტანმწვარეობის საშუალება ექნებათ დიტრაბახონ, რომ შხაპს იმპერატორ დიოკლიტიანეს აბანოში ლებულობდნენ, რადგან ტანმწვარეობის დარბაზი აგებულია სწორედ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ეს განთქმული აბანოები არსებობენ.

ომის წინა პერიოდში რომი მსოფლიო ყურადღების ცენტრში იყო, რადგან მაშინ აქ შენდებოდა უზარმაზარი შენობები 1940 წლის მსოფლიო გამოფენისათვის. ომის გამო მოფენისათვის. ომის გამო მოფენისათვის. ომის გამო მოფენისათვის.



პრესის მიმოხილვა

ნეკლობა. ველოდრომის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია თამაშების განხორციელების შემდეგ.

იტალიის დედაქალაქს ოლიმპიური თამაშების დღეებში უამრავი სპორტის მოყვარული მოაწყვდება. ამ მდგომარეობის თვითდასაცავი ღონისძიებები იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯ. ინესტის წინადადებით გადაწყვიტა დაიწყოს მთელი რაიონი ახალი ბაზების მშენებლობა. მართალია, რომში საკმაოდ დიდი სტადიონი აქვთ, მაგრამ 1960 წლისათვის ააგებენ მეორე 100 ათას ადგილიან სტადიონს. მიმდინარეობს „სტადე ტორინოს“ რეკონსტრუქცია და 15 თვის შემდეგ რომს კიდევ ერთი 50-ათას ადგილიანი სტადიონი შეემატება, რომელიც მხოლოდ ფეხბურთელებსა და ბალახის ჰოკეისტებს დაეთმობათ, ამ სტადიონს არ ექნება მძლეოსნობის სექტორები. აქვე მოეწყობა 25-მეტრიანი სავარჯიშო აუზი. დიდი აუზია მშენებლობის დამთავრება კი ნავარაუდევია 1959 წლის მარტისათვის.

მაღე რომში დაიწყება აგრეთვე სპორტის დიდი სასახლის — „პალაცო დელო სპორტის“ მშენებლობა, რომელიც 15 ათას მაყურებელზეა განკარგავებული. უკვე დაამთავრდა მცირე სასახლის მშენებლობა, სადაც გა-

მართება ძალოსანთა და მოჭიდვეთა შეხვედრები. რომის ოლიმპიური თამაშებისათვის ბაზების მზადყოფნა, საკმაოდ ნაკლები კვანძების, ტრანსპორტის გენერალური შემოწმება იქნება 1959 წლის უნივერსიტეტების სტუდენტთა მსოფლიო თამაშები.

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ყველა იტალიელ სპორტსმენს 21 წლის ასაკამდე უკრძალავს პროფესიონალად გახდომას. როგორც აქ ფიქრობენ, ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სპორტსმენთა შერჩევას საკუთარი ოლიმპიური ნაკრებებისათვის, ხოლო გუნდების დაკომპლექტებისათვის ცალკეულმა სპორტულმა კავშირებმა გადაწყვიტეს საზღვარგარეთიდან მოიწვიონ სპეციალისტთა ახალი ჯგუფები.

იტალიის მძლეოსანთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე მოაწყოს თავის სპორტსმენთა გენერალური შემოწმება, ამ დროისათვის რომში ჩამოვლენ შევეციისა და გფრ-ის მძლეოსნები. შეხვედრები გაიმართება წლის სწორედ იმ პერიოდში, რომელშიც ნავარაუდევია ოლიმპიური თამაშების ჩატარება.

მეტურნის ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე საერთაშორისო

ოლიმპიურმა კომიტეტმა დაიწყო მთელი მსოფლიოს მატჩების დაწყება. მატჩები ჩატარდება ფეხბურთის, ციხის კონკრეტულ, რომელიც ირან-დ-ე-პანეირ-ომი გაიმართა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, გადაწყვიტა რომის ტურნირზე დაწესდეს იქნას ვეითა 16 გუნდი. იტალიის გარდა განაცხადების წარდგენის უფლება მიეცათ მეტურნის თამაშებში 1-8 ადგილებზე გამოსულ სახელმწიფოებს — აშშ-ს, საბჭოთა კავშირს, ურუგვაი, საფრანგეთს, ბულგარეთს, ბრაზილიას, ფილიპინებს, ჩილს. სამი არაევროპული გუნდი გამოვლინდება შედარებით გვიან, ხოლო დანარჩენ ოთხ ადგილს დაიკავებენ ის კოლექტივები, რომლებიც გამარჯვებულ ბოლოს (იტალია) პრეტენდენტთა შორის, რომელშიც მონაწილეობის უფლება იქნა მიანიჭეს ნაციონალურ გუნდს.

გასული წლის სექტემბერში სოფიაში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელშიც კიბაობის საერთაშორისო ფედერაციას დაავალა პროგრამიდან ამოიღოს კლასიკური ან თავისუფალი ჰილბრას სხვ. მაგრამ პროგრამის საბოლოო დადგენა მოხდება შედარებით გვიან. ასე რომ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებშიც კი ჯერ კიდევ შეეცდებიან რამის შეცვლა მოსალოდნელი. ამ კონგრესზე იტალიელები წინადადებით შევიდნენ. აღდგენილ იქნას ტანმწვარეობის თამაშები, რომელიც ოფიციალურ პროგრამიდან ამოღებულ იქნა ოლიმპიური კომიტეტის მიითებებით.

ოლიმპიურმა კომიტეტმა წინადადება მისცა კორეის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილის სპორტულ ორგანიზაციებს ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდნენ ერთიანი გუნდებით. ამის საფუძველზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ხონ მენ-ხიმ წერილით მიმართა სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს ლიო-გი-ბონს, მიმდინარე წელს მოაწყონ ჩრდილო და სამხრეთ კორეის გუნდების შეხვედრები უძლიერესთა შესარჩევად. იტალია ემზადება, ემზადებიან თამაშებში მონაწილე სხვა ქვეყნიებიც.

„ბესოლუზური ჩეკორები“

ინდოეთის სპილო, რომელიც 4000 — კილოგრამს იწონის, სწევს 1000 კილოგრამ ტვირთს და გადააქვს იგი დასლობით ნახევარ კილომეტრზე. უძლიერესი ძალოსანი საშუალოდ სწევს 182,5 კილოგრამს (როდესაც თვითონ 90 კილოგრამს იწონის). როგორც ხედავთ, სპორტსმენის შედეგი ვაცილებით სჯობს სპილის მანევრებებს. მაგრამ სპილოც და ადამიანიც არაფერს წარმოადგენენ ჰიანჭველასთან, რომელიც მხოლოდ 14

გრამს იწონის. იგი დაათრევს დასლობით 1,5 კილოგრამ ტვირთს. ძალოსანმა რომ შეძლოს ჰიანჭველის შედეგის გამოვლენა მან უნდა ასწიოს 11 მსუბუქი ავტომანქანა (თვითუფლის წონა დაახლოებით — 960 კგ). ადამიანს შეუძლია თავის თავზე მალა გადახტეს. იგი სიგრძეზე ბტომავიც საკმაოდ დიდ მანძილს მძლევს. სიგრძეზე ბტომისთანავე მდროვე რეკორდი, რომელიც ზანგ მძლეოსანს ჯესი ოუენს ეკუთვნის (8 მ. 13 სმ) მართლაც

ფენომენალურია და მას ცხენის ნახტომი თუ შეედრება. ოუენსის რეკორდთან ახლო ვერ მიდის ვერც ვეფხის ნახტომი. მაგრამ მას თურმე საგრძნობლად აღემატება კენჭურუს და კურდღლის ნახტომი — რომლებსაც შეუძლიათ ადვილად დასძლიონ 10 მეტრი და მეტი. მაგრამ ბტომის „აბსოლუტური“ რეკორდი ეკუთვნის რწყილს, რომელიც თავის სიგრძეზე 200 ჯერ უფრო შორს ხტება.

რედაქტორი ი. შუშლაძე